ხელშეკრულება №387

« 22 « ოქტომბერი 2014 წ. ქ.თბილისი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

«სახელმწიფო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურეობრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ» 2014 წლის 6 თებერვლის საქართველოს მთავრობის N121 დადგენილების მე-3 მუხლის (გ) პუნქტის საფუძველზე და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) საქართველოს დაზვერვის სამსახური (მისამართი: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №4) მისი IV დირექტორატის V სამმართველოს უფროსის იოსებ ოქრომელიძის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი**) შპს „იბერია ავტო" (მისამართი: ქ.მცხეთა, აღმაშენებლის ქუჩა) მისი დირექტორის ალექსანდრე ხუციშვილის სახით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა (CPV341), კერძოდ საქართველოს დაზვერვის სამსახურის ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების (იხ. დანართი №1) ჩანაცვლება ერთი ერთეული ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებით.(იხ. დანართი №2).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 49500 (ორმოცდაცხრაათასხუთასი) ლარით.

3.2. საქართველოს დაზვერვის სამსახური შპს „იბერია ავტო"-ს 57300 (ორმოცდაჩვიდმეტიათასსამასი) ლარის ღირებულების ერთი ერთეული ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების სანაცვლოდ გადასცემს 7800 (შვიდიათასრვაასი) ლარის ღირებულების ერთ ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას და უნაღდო აგარიშწორებით გადარიცხავს 49500 (ორმოცდაცხრაათასხუთასი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. სამუშაოს შესრულების ეტაპობრივი ვადები

მიმწოდებელი და შემსყიდველი ვალდებულნი არიან ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაცვლა მოახდინონ 2014 წლის 22 ოქტომბრიდან 2014 წლის 25 ოქტომბრამდე.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 ავტოსატრანსპორტო საშუალებები საკუთრებაში გადაცემულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შემდეგ შსს სამინისტროს მომსახურების სააგენტოში მიმღების სახელზე.

5.2 შემსყიდველისათვის გადასაცემი ავტოსატრანსპორტო საშუალებების (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი

დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული გადმოსაცემი ავტოსატრანსპორტო საშუალების წუნდების მიზეზების მითითებით.
5.4. შემსყიდველი ვალდებულია გადმოცემული ახალი ავტომობილის (დანართი N2) სანაცვლად გადასცეს მიმწოდებელს შესყიდველის ბალანსზე არსებული დანართი N1-ით გათვათვალისწინებული ავტომობილი.
5.4. იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დანართი №1–ით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემის მომენტში ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების შეფასებითი ინდივიდუალური ან ერთობლივი ღირებულება შემცირდება მათი დაზიანების ან განადგურების გამო, შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებელს ფულადი სახით აუნაზღაუროს ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულების შემცირებით წარმოქმნილი ფასთასხვაობა. დაზიანების შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეფასებას ახდენს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

6. ავტოსატრანსპორტო საშვალებების გადაფორმების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ გადმოსაცემ ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაფორმებას უზრუნველყოფს მიმწოდებლი.
6.2 შემსყიდველის მიერ გადასაცემ ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაფორმებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან ანგარიშ–ფაქტირის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში შემოტანილი საქონლის საერთო ღირებულების შესაბამისად.

8. საგარანტიო პირობები

მიმწოდებლის მიერ გადმოცემულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გარანტია მოქმედებს საგარანტიო წიგნაკისა და დანართი N2-ის შესაბამისად.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, საკუთრების უფლებით მიაწოდოს შემსყიდველს ერთი ერთეული (იხ.დანართი №2) ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით;
9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიმწოდებელს საკუთრების უფლებით გადასცეს (ჩაანაცვლოს) მის ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება (იხ. დანართი №1) და აუნაზღაუროს ფასთასხვაობა ფულადი სახით.
9.3. შემსყიდველი უზრუნველყოფს ერთი ერთეული ავტომობილის ტრანსპორტირებას მიმწოდებლის მისამართზე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1. შემსყიდველი უფლება მოსილია ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად მოუწოდებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.
10.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად გადაუხდელი თანხის 0.5 %-ის ოდენობით.
10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის 22 ოქტომბრიდან 2014 წლის 30 ნოემბრამდე.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ გადმოსაცემი ავტოსატრანსპორტო

საშუალებები, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

14.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი (შეცვალონ ავტომანქანა ახლით).

14.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

15.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

15.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს

შემსყიდველი: IV დირექტორატის V სამმართველოს
უფროსი იოსებ ოქრომელიძე ხელმოწერა ----------
(შემსყიდველის სახელი, გვარი, თანამდებობა)
ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
შემსყიდველის ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE24NB 0330 1002 0016 5022
საინდეტიფიკაციო კოდი: 204469583

მიმწოდებელი: შპს „იბერია ავტო"
დირექტორი ალექსანდრე ხუციშვილი ხელმოწერა ----------
(მიმწოდებელის სახელი, გვარი, თანამდებობა)
ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
მიმწოდებლის ბანკი: სს «საქართველოს ბანკი»
კოდი:BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE98BG0000000230469300
საიდენტიფიკაციო კოდი: 236098129

დანართი №1
2014 წლის 22 ოქტომბერი №387 ხელშეკრულებასთან

№	ა/მანქანის მარკა	სახელმწიფო ნომერი	გამოშვების წელი	საინდენტიფიკაციო ნომერი	ფასი ლარებში აუდიტის შეფასებით	გადაცემის თარიღი
1	KIA RIO	CXX-822	2010	KNADG511BA6741071	7800	22.10.2014. 25.10.2014.
2	**სულ:**				**7800**	

Das Auto.

Volkswagen CC MY2014

ძრავი: 1,8 ლ. 118კვტ (160ც.ძ.) TSI
გადაცემათა კოლოფი: 7 საფ. ტიპტრონიკი
ფერი: თეთრი
სავარძლების მატერია: ტყავის სალონი "Nappa"
საბურავები: ალ. დისკები ''Phoenix" R17 235/45
ზომები: სიგრძე:4802; სიგანე:1855; სიმაღლე:1417.
საშუალო წვა: 8,5ლ.

Engine: 1.8l 118kW (160 PS) TSI
Gearbox: 7 Step Tiptronic
Color: White
Cover of the Seats: ''Nappa'' Leather Seat-covering
Wheels: Light-Alloy wheels ''Phoenix'' R17 235/45
Size: Length:4802; Width:1855; Height:1417
Fuel Consumption (Combined): 8.5 L

სერიული აღჭურვილობა:

გარეთა სარკეები, ბამპერები და კარის სახელურები ძარის ფერში

გატაცების საწინააღმდეგო სისტემა იმობილაიზერი

ელ. სტაბილიზაციის პროგრამა **ESP** (EDS/ASR/MSR)

8 აირ ბალიში

ელექტრონული მუხრუჭის სისტემა ''AutoHold''

მულტიფუნქციონალური მაჩვენებელი /ბორტ კომპიუტერი

შასის დამცავი რკინის ფარი

შუშები თბოიზოლაციით

ქომფორტული სტარტის ფუნქცია ''Press&Drive''

ქრომის პაკეტი (ქრომის სალტეები)

Standard equipment:

Outside mirrors, bumpers and door handles in body color

Antitheft system immobilizer

Electronic stabilization program **ESP** incl. EDS/ASR/MSR

8 Airbags

Electric parking brake with auto-hold function

Multifunction display /Board computer

Engine and transmission guard

Heat insulating windows

Comfort start function "Press & Drive"

Chrome package: Chrome-plated side protective strips / Chromed strips on the side windows

მის.: დ. აღმშენებლის ხეივანი მე-15 კმ.; ტელ.: +995 322 241111; www.volkswagen.ge; info@volkswagen.ge

დამატებითი აღჭურვილობა:	Extra options:
შუშის პანორამული ლუქი	Panoramic tilting sunroof
რადიოსისტემა “RCD 510“ 8-ხმის გამაძლიერებელი, CD-Changer (6CD) MP3	Radio "RCD 510" with MP3 player incl. CD changer for 6 CDs
უკანა ხედვის კამერა	Rear-view camera
წინა და უკანა პარკინგ სენსორები	Park distance signal for obstacles in the front and rear
ელ. რეგულირებადი, კეცვადი და თბობადი გარეთა გვერდითი სარკეები	Exterior mirrors, electrically operated, foldable and heated
ცუდი გზების პაკეტი	Rough-road-package
2 ზონიანი კლიმატ-კონტროლი	Climate control 2 zone
მულტიფუნქციონალური ტყავის საჭე	Multi-function leather steering wheel
წინა სავარძლების გათბობა	Heated front seats
ტექსტილის ხალიჩები	Carpet mats front and rear
სათადარიგო საბურავი / ხელსაწყოები	Light alloy spare wheel with original equipment tire /tool kit
ქსენონის ფარები (LED ნათურებით)	Xenon headlamps (with LED lights)
გარანტია: 2 წელი გარბენის შეუზღუდავად	**Warranty: 2 Years with no millage restriction**

ფასი: **57.300,00 ლარი**

Price w. customs: 57.300,00 GEL

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.თბილისი 22 ოქტომბერი 2014 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ საქართველოს დაზვერვის სამსახურის მიერ ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვისთვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

IV დირექტორატის V სამმართველოს
უფროსი **იოსებ ოქრომელიძე**

<u>საქონელზე პასუხისმგებელი პირი:</u>

საქართველოს დაზვერვის სამსახურის
IV დირექტორატის II სამმართველოს
II განყოფილების წამყვანი
სპეციალისტი მიხეილ გორგაძე